Khatuna Kalandarishvili
ხათუნა კალანდარიშვილი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი

The Christian Understanding of the Meaning of Life in Vazha-Pshavela's Creative Prose

სიცოცხლის საზრისის ქრისტიანული გაგება ვაჟა-ფშაველას მხატვრულ პროზაში

Vazha-Pshavela creates a fictional world that is governed by ethical norms informed by Christian teachings. He places readers on a solid moral foundation, conversing about essence and purpose of humanity. He hints that people have strayed from their initial form, being one with the essence of nature through God's Grace, replacing it by a consumer attitude, bringing death and letting violence and conflict rule the world. Returning to prior harmony is only possible through the solidification of high ethical ideals and rejuvenation of kindness in human hearts. Through his stories, Vazha strives to display life itself as an ethical phenomenon.

Keywords: Meaning of life, Christianity, Ethical Ideals
საკვანძო სიტყვები: ცხოვრების აზრი, ქრისტიანობა, ეთიკური იდეალები

ვაჟა-ფშაველას, ამ უაღრესად ფართო თვალსაწიერის მქონე შემოქმედის, მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მისი მცირე ზომის პროზაული ნაწარმოებები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის მსოფლმხედველობასა და ადამიანის დანიშნულების მისეულ გააზრებაზე.

ვაჟას მხატვრული პროზა იმთავითვე საგანგებო ყურადღების საგანი იყო მკვლევარებისათვის, რამდენადაც, თავისი ღრმა და ფილოსოფიური ხასიათის გამო, სხვადასხვა ასპექტით გააზრების უშრეტ შესაძლებლობებს იძლეოდა. ეს არის მიზეზი, რომ სამეცნიერო სივრცეში ვაჟა-ფშაველას პროზაულ თხზულებებთან მიმართებით ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა.

დიდი მკვლევარი, კიტა აბაშიძე, მიიჩნევდა, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი მცირე პროზაული ნაწარმოებების პერსონაჟთა ცხოვრებას სამშობლოს ბედთან აკავშირებს და ამ პერსონაჟთა ხვედრის აღწერით მამულის მდგომარეობას გამოსახავს: *„ხანდისხან სამშობლოს კვნესა „შვლის ნუკრის“ ტირილად მოესმის...“* (1962, გვ. 389). ვახტანგ კოტეტიშვილის აზრითაც, *„საქართველოს ბედზე ფიქრობდა ჩვენი პოეტი და, როგორც უკანასკნელი მოგიკანი, დარაჯად ედგა თავისი მთების შეუვალობას“* (1959, გვ. 610-611). თანამედროვე მკვლევრებიც უშვებენ იმ შესაძლებლობას, რომ ვაჟა-ფშაველას მცირე ზომის მხატვრულ პროზაში ალაპარაკებული ბუნება სამშობლოს სახეს წარმოადგენდეს. *„ხმელი წიფელი, მართლაც, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ საქართველოდ, რომელიც ელის თავის მომავალს“* (1998, გვ. 14), – წერს თამარ შარაბიძე.

ასევე ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო მკვლევართა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საგანი ბუნების წარმონაქმნთა გაპიროვნების ვაჟა-ფშაველას ფენომენალური უნარი, რაც საფუძვლად უდევს მის მხატვრულ პროზას. მკვლევრების ერთი ნაწილი მას წარმართული მსოფლმხედველობის გამოხატულებად თვლიდა. ამის დასტურია, თუნდაც, დიდი მკვლევრის – გერონტი ქიქოძის შრომები (ქიქოძე, 1936, გვ. 48). სხვაგვარი რაკურსით აფასებდა ვაჟას შემოქმედებას კონსტანტინე კაპანელი – მას ეჭვი არ შეუტანია დიდი მწერლის ქრისტიანობაში, მაგრამ მიიჩნევდა, რომ თავად ქართულ სინამდვილეში ჩამოყალიბებული ქრისტიანობაა უნიკალური ხასიათისა – მისთვის უცხოა *„რაციონალიზმი და მშრალი გონების პრიმატი“.* ამგვარი ქრისტიანობის გამოხატულებას წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, მისი აზრით: *„პრიმატი გრძნობისა და ნების, ადამიანობისა და სიყვარულის კულტი, ბუნების ძალთა სილამაზე და სიდიადე, ბუნებასთან ადამიანის დაახლოვების ტენდენცია, ესთეტიური მსოფლშეგრძნების ბიოლოგიისა და კოსმოლოგიის არეში გადატანა, პანთეიზმი და ანთროპომორფიზაცია – აი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თვისებანი, რომელნიც გვაგონებენ ევროპის დიდ მწერლებს, განსაკუთრებით რუსოს და გოეთეს“* (კაპანელი, 1996, გვ. 257).

თავისთავად ცხადია, მკვლევარი ვაჟა-ფშაველას არ მოიაზრებს ძველი რელიგიური წარმოდგენების მიმდევრად. ვფიქრობთ, მის მიერ ხსენებული ტერმინები – პანთეიზმი, ანთროპომორფიზაცია – მიჩნეულია მხატვრული გამოსახვის საშუალებებად და ვაჟას მიერ შექმნილ მხატვრულ სახეთა მეტი სისრულით დახასიათებისათვის არის გამოყენებული. ეს გასაგებიცაა – ვაჟა-ფშაველას შემოქმედება არ იძლევა იმის საფუძველს, რომ პანთეიზმისა და ანთროპომორფიზმის შესახებ მსოფლმხედველობრივ სიბრტყეზე ვისაუბროთ. მისი მოთხრობების პერსონაჟები, ყველა მათგანი, იმ ფორმით და ისე ცხოვრობს, იმ ვალს იხდის სამყაროს წინაშე, როგორც „განგებას“, „დამბადებელს“ დაუწესებია. სავსებით აშკარაა მწერლის პოზიცია – ხილული ქვეყანა უზენაესის ნებითა და გონითაა ისე შექმნილი, როგორიც ის არის. მასში ყველას თავისი ფუნქცია ეკისრება და ეს აწესრიგებს მას. ჩვენი შეხედულებით, ვაჟა-ფშაველას მხატვრული პროზა ყველაზე ნოყიერ საფუძველს მისი ქრისტიანული მოძღვრების შუქზე გააზრებისათვის გვთავაზობს. მოთხრობებში: „მთის წყარო“, „ფესვები“, „მთანი მაღალნი“, „კლდე მტირალი“, „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“, „ქუჩი“, „ია“, „ხმელი წიფელი“ და სხვ. – გამოკვეთილი იდეალები ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფუნდამენტური გამოხატულებაა.

ვაჟა-ფშაველას მოთხრობების მიხედვით, ერთი უზენაესი შემოქმედის მიერ შექმნილი სამყარო ერთიანი სისტემაა, რომელშიც ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი და ფუნქცია აქვს. ეს სამყარო შექმნილია ჰარმონიისათვის, ბედნიერებისათვის. სწორედ ასე განმარტავენ წმინდა მამებიც ხილული ქვეყნის შექმნის მიზეზს: *„ყოვლადკმაყოფილმა ღმერთმა ქმნილებანი არმყოფობიდან ყოფად მოიყვანა არა იმიტომ, რომ, რატომღაც, ეს მისთვის საჭირო იყო, არამედ იმისთვის, რომ ისინი, თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ღვთიური ნეტარების თანაზიარნი ყოფილიყვნენ და გაეხარათ“* (წმ. მაქსიმე აღმსარებელი, 3.45). ამ ქმნილებათა უფალი ადამიანია, იგი გრძნობს ყოველივეს არსებას და თავის თავში ატარებს ცოდნას ყველა ქმნილების შესახებ. ეს დიდი სიბრძნეა, რომელიც ადამიანს ღვთისაგან მიეცა, რათა შესძლებოდა თავისი დანიშნულების შესრულება: *„აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს“* (დაბადება, 1.28,29). ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი, უკვდავი სულის მქონე ადამიანის გამორჩეულობას ისიც აცხადებს, რომ მასში იმთავითვე იყო ჩადებული ცოდნა მის გარშემო მყოფ ქმნილებათა შესახებ, ბუნების ყოველი ნაწილის, სულიერის თუ უსულოს, არსს იგი იმთავითვე იცნობდა და გრძნობდა: *„გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი და მიჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა. რომელ სულდგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა“* (დაბადება, 2.19). სწორედ ეს არის იმის გამოხატულება, რომ ადამიანი ღვთის ქმნილებათა თავია, შემოქმედისაგან დიდი გონიერებით

აღჭურვილი, რაც მას საშუალებას აძლევს, ღრმად წვდეს თითოეული ქმნილების ბუნებას და შესაფერი სახელები მოუძებნოს მათ.

ქრისტიანულ მოძღვრებაში დადასტურებული ადამიანის ასეთი ორგანული სიახლოვე ბუნებასთან შესაფერ გამოხატულებას პოულობს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. აშკარაა, რომ დიდი მწერლის სწრაფვა სწორედ ამგვარი სიახლოვის გამოკვლევის, გაანალიზების, თანამედროვე რეალურ სამყაროში მისი ტრანსფორმაციის განხილვისა თუ ჩვენებისკენ არის მიმართული. *„ჩვენ ბუნებაში ვართ – იგი ჩვენშია. საით, როგორ შეგვიძლიან იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავექცნეთ, დავემალნეთ?! ცოცხალნიც მისნი ვართ, მკვდარნიცა“* (1964 გ, გვ. 395), – წერს ვაჟა. თანამედროვე სამყაროშიც, როდესაც ადამიანი გაემიჯნა ბუნებას, თავს მის ნაწილად აღარ მოიაზრებს და ცდილობს მასთან ახლებური მიმართება დაამყაროს, ვაჟა ბუნებასა და ადამიანს კვლავ ერთ მთლიანობად აღიქვამს, ისინი საერთო კანონზომიერებას ემორჩილებიან: *„არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაშიც არ მოიპოვებოდეს“* (1964 გ, გვ. 394-395), – აღნიშნავს ის.

ეს ტენდენცია, ბუნებასთან ადამიანის ორგანული სიახლოვისა, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სხვადასხვა ასპექტით ვლინდება. ამის დასტურია, თუნდაც, მისი შესანიშნავი „გველისმჭამელი“ და არაერთი სხვა ნაწარმოები. ამ ტენდენციის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ბუნების ქმნილებათა ის საყოველთაო გაპიროვნების ფაქტი, რომელიც იმთავითვე გამოარჩევს დიდი ვაჟას თხზულებებს ყველა სხვა მწერლისა თუ პოეტის ნაწარმოებებისაგან.

ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას მცირე ზომის მხატვრული პროზა, რომელიც ფართოა როგორც თემატური თვალსაზრისით, ისე პრობლემატიკის კუთხით. მასში გაცხადდა დიდი ხელოვანის შემოქმედებითი უნარი, *„გააცოცხლოს და აამეტყველოს ადამიანის თვალწინ გადაშლილი უტყვი სამყარო ისე, რომ ადამიანურ ვნებათა ღირებულებამდე აამაღლოს მათი არსებობის ფაქტი“* (ევგენიძე,1989, გვ. 412) და სწორედ ისინი ალაპარაკოს ზოგადადამიანური ღირებულებების შესახებ. ვაჟა-ფშაველას მიაჩნია, რომ ზნეობრივი საფუძველი, რომლითაც ადამიანმა უნდა იხელმძღვანელოს, სამყაროს მოწყობაში იმთავითვე მოცემულია: *„კარგს რასაც ვხედავთ, ბუნებაში ყოფილა თავისთვის უსარგებლო, ხოლო სხვისთვის სასარგებლო, სახეირო. მაშასადამე, თვით ბუნება გვაძლევს საზომს სიკარგისა და უვარგისობისას და ჩვენ კაცთ ეს არ გვესმის, თუნდაც რომ გვესმოდეს, მაინც ყურადღებით არ ვეპყრობით ამ ბუნების კანონს“* (1964, გვ. 189), – წერს ის. ასეთ ვითარებაში, ლოგიკურია, ის თვისებები, რომლებიც ადამიანის ზნეობრივი სამყაროს აღზრდას უწყობს ხელს, რაც, მწერლის აზრით, ადამიანის სწრაფვის საგანი უნდა იყოს, ბუნების ქმნილებებს მიეწეროს და მათი საშუალებით გამოიხატოს. ამ ნაწარმოებების მიზანია შექმნას ზოგადი ეთიკურ-ზნეობრივი სამყარო, რომელიც, თავისთავად ცხადია, პირველ რიგში თავად ავტორის მსოფლმხედველობას ასახავს. მწერალი თავის პერსონაჟებს ტვირთავს ისეთი განცდებით, გრძნობებით, აზრებით, აქცევს ისეთი იდეების გამომხატველად, რომლებიც სამყაროს მისეული ხედვის მაჩვენებელია.

ამ გადასახედიდან აშკარაა, რომ ვაჟა-ფშაველა სამყაროს ქრისტიანის თვალით უცქერის. მის პროზაულ თხზულებებში გადმოცემული იდეალები ქრისტიანული მიმართების გამომხატველია. მოტივები, რომლებიც მან თავის მოთხრობებში შემოგვთავაზა მოლოდინი, იმედი, უანგარო სიკეთე, სიცოცხლის სიხარული, საყოველთაო სიყვარული და ა.შ. ერთად აღებული, ქმნის საერთო სულისკვეთებას, რომელიც მართლმადიდებლურ მსოფლაღქმას ზედმიწევნით მიესადაგება. როგორც მითითებულია, ბუნების განცდის *„ხასიათს აპირობებს გარემო, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, უშუალო გამოცდილება, მსოფლმხედველობა, ინდივიდუალური თავისებურება და სხვა“* (კიკნაძე, 1989, გვ. 86-87).

ვაჟა-ფშაველას პროზაულ თხზულებათა პერსონაჟები შეჰხარიან სიცოცხლეს. მათთვის ბედნიერების მომტანია თავისთავად სიცოცხლის ფაქტი, რაც სავსებით ეთანხმება სამყაროს ქრისტიანულ აღქმას. *„ყვავილნი მუდამჟამს სიცოცხლეზე საუბრობდენ, მზესა და დედამიწას ჰლოცავდნენ*

და ღმერთს ევედრებოდნენ: „ღმერთო, ნუ მოგვიღებ მალე ბოლოს, დიდხანს გვაცოცხლეო!“ (ვაჟა-ფშაველა, 1964 ბ, გვ. 42). მაგრამ ეს ყველაფერი არ არის – ამ პერსონაჟების სიცოცხლეს კიდევ უფრო ღრმა შინაარსს სძენს მორალი, რომელიც მათს არსებობას უდევს საფუძვლად: მთის წყაროს უხარია სიცოცხლე, რომ ყველას წყურვილი მოუკლას და ამით თავისი დანიშნულება აასრულოს: *„ღმერთს ესე დაუწესებივარ: უნდა ვიდინო, ვიდინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი“* (ვაჟა-ფშაველა, 1964 ა, გვ. 63). მას ბედნიერებას ანიჭებს იმ მოვალეობის შესრულება, რისთვისაც ღმერთს გაუჩენია. ბედნიერებას ანიჭებს, რადგან ეს მოვალეობა გარშემომყოფთადმი სიყვარულზეა დამყარებული. ამიტომ მის ბედნიერებას ვერაფერს აკლებს უდიერი დამოკიდებულება ზოგიერთი სულიერის მხრიდან – ამ ბედნიერების წყარო თავისთავად სიცოცხლეა და ის გულწრფელი წადილი უანგარო სიკეთის ქმნისა, რომელიც მის სიცოცხლეს ავსებს. უნებლიე დანაშაული, რასაც მდინარესთან შეერთების შემდეგ ძალაუნებურად ჩადის, მის ბუნებას ეწინააღმდეგება. მთის წყაროს მხოლოდ ის აშფოთებს, რომ შესაძლოა სიცოცხლეს მოაკლდეს და ღვთისაგან დადგენილი თავისი მოვალეობის შესრულება ვეღარ შეძლოს. უანგარო და უშურველი სიკეთის ეს მოტივი ნათლად იკითხება ვაჟას არაერთ სხვა მოთხრობაშიც. *„ვისთვის ვწვალობ, ვინ არის მადლობის მთქმელიო!“* – ჩიოდა დედამიწა, *„მაგრამ იმავე დროს წინ წამოწვდილს, შორიდან წამოზრდილს წიფლის, არყის და ვერხვის ფესვებს უდებდა საგზალს... უარს ვერავის ეტყვის ეს ღვთისაგან კურთხეული. ყველას დედაა, ყველასთვის ის ზრუნავს, ყველა იმის ზურგსა ჰკიდია“* (ვაჟა-ფშაველა, 1964ა, გვ. 218). ვაჟას პერსონაჟები ხარობენ სიცოცხლით, მაგრამ მათთვის ისეთ სიცოცხლეს აქვს განსაკუთრებული ფასი, რომელსაც მკაფიო მორალურ სახეს სძენს და აშინაარსებს უანგაროდ გაწეული სიკეთე. *„ახ, რა უქმად, უმნიშვნელოდ მიდის ჩემი სიცოცხლე! – ამბობდა ხშირად ვერხვი, – ისე გავჩნდი და გავიზარდე, ერთი წამი ვერ გავიხარე, ვერავის რა ვარგე“* (ვაჟა-ფშაველა,1964 ბ, გვ. 43). თუ ცხოვრების აზრად სხვისი სამსახური არ გიქცევია, თუ შენს ცხოვრებას სიყვარული არ უდევს საფუძვლად, მით უფრო, თუ სხვას შენი სიცოცხლით ზიანს აყენებ, მაშინ ეს *„მკვდარი სიცოცხლეა“* (ვაჟა-ფშაველა, 1964 ბ, გვ. 53), მოკლებული თავის ჭეშმარიტ არსს. სიცოცხლე თავისთავად ბედნიერებაა, რადგან ღმერთმა ის საყოველთაო სიყვარულისა და ერთსულოვნებისთვის შექმნა. ამიტომ სიცოცხლის ფაქტით დატკბობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი წარმმართველი ჰუმანურობა და ზნეობრივი პრინციპებია. სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება ტვირთადაც კი იქცეს: *„რა საჭიროა... სისხლის მსმელი ნადირი?“ – ათქმევინებს მგელს ვაჟა-ფშაველა, – „რას ვაკეთებთ ჩვენ? არაფერს, ცოდვის მეტს. ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი არსება თავიდან ბოლომდე დაგვირგვინებული ცოდვაა“* (ვაჟა-ფშაველა, 1964 ბ, გვ. 53).

საზოგადოდ, სიცოცხლით მინიჭებული სიხარულის მოტივი მთლიანად მსჭვალავს ვაჟას მცირე ზომის მხატვრულ პროზას. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება მხოლოდ ბუნების ამა თუ იმ წარმონაქმნის ცალკეული წყურვილი და სწრაფვა სიცოცხლისაკენ. ბუნების არც ერთი გამოვლინება ვაჟას მოთხრობებში განყენებულად არ მოიაზრება. ყველა ამ მოთხრობაში ბუნების ყოველი ნაწილი საერთო ფერხულშია ჩაბმული, რომელშიც ყველას თავისი ადგილი და ფუნქცია აქვს – ისე გაამდიდროს სამყარო, ის შემატოს საყოველთაო სიკეთეს, რაც ღვთისაგან მისთვისაა დანიშნული; ვაჟას მოთხრობების მიხედვით, ბუნების თითოეული ნაწილი აღბეჭდილია თავისებური სილამაზით, რომელსაც ისინი უშურველად უზიარებენ ერთმანეთსა და ყოველგვარ არსს, სულიერს თუ უსულოს, ხარობენ ერთმანეთით:

> „ულრანს ტყეში მოსული ვარ... მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდამ გამომცქერალს გულხავსიანს კლდესა, სურნელებას მივაფრქვევ არე-მარეს“, – ათქმევინებს დიდი მწერალი იას, – „...ნეტა სიმღერა შემეძლოს, ნეტავი დამბადებელს ჩემთვის ნიჭი მოეცა, რომ მექო მაღლა ცა და ღრუბელი, მზე, ეს ჩემი მფარველი ხეები, ეს მთები, ის ჭალები და ღაბუა ჩიტები, რომელნიც ხმელს, ყვითელს ფოთლებში

წითლის და მწვანის ფრთაბუმბულით ჩემს წინ დაგოგავენ და ხანდახან შემომჭიკჭიკებენ პირში, მათამაშებენ, უხარიანთ ჩემი სიცოცხლე“ (ვაჟა-ფშაველა, 1964ა, გვ. 35).

სიცოცხლით გამოწვეული ეს აღფრთოვანება, ასე მძაფრად გამოხატული სიცოცხლის სიყვარული ვაჟას სხვა მოთხრობებშიც ვლინდება. ხმელი წიფელი ყურს უგდებს „ადგილის დედას“, რომელიც ზამთრობით *„ბუნების სანუგეშოდ სიყვარულზე, სიწმინდეზე და სიცოცხლეზე ზღაპარს უამბობს“* (ვაჟა-ფშაველა, 1964 ა, გვ. 84). მისი ნუგეში *„ფესვის ბოლოზე ამოსული პატარა დასახული ყლორტია“* (ვაჟა-ფშაველა, 1964 ა, გვ. 87), რომელიც მისი სიცოცხლის გაგრძელებად უნდა იქცეს. ამით აშკარავდება სიცოცხლის დიდი წყურვილი მის დაუძლურებულ სხეულში. კლდის ფერდობზე ეულად ამოსული უშნო ქუჩიც მთელი ძალით ეწაფება სიცოცხლეს: *„მზეო, დამხედე! წვიმავ, დამნამე! კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუკარგავ, ნუ ამომთხრი, ნუ ამომაგდებ!“* (ვაჟა-ფშაველა, 1964ა, გვ. 203). მართალია, სხვებისაგან მოშორებით უწევს ყოფნა, მაგრამ გრძნობით და განცდით ბუნების საზოგადო ფერხულშია ჩაბმული, მისი საწუხარი ასევდიანებს და მისი სიხარულით ხარობს. ქუჩის გული გარშემომყოფთადმი სიყვარულითაა სავსე, მისთვის სიცოცხლე სილამაზეა, ბედნიერებაა; ხოლო მტრობა, ძალადობა, რასაც სიკვდილი მოსდევს – სილამაზის დაკარგვა. ამიტომაც აატირა ქუჩი ძირს გაშლილ ველზე გამართული ბრძოლის შემდეგ დახოცილი მეომრების დანახვამ: *„მხედარნი თავის ცხენებითურთ ეყარნენ მინდორზე უსულოდ, როგორც აი ეს ლოდები. ეს სურათი ჩემთვის სატირელი სურათი იყო და ვიტირე კიდეც. სილამაზე, შვენება დაჰკარგოდათ. ეს მეწყინა და ამან ამატირა“* (ვაჟა-ფშაველა, 1964ა, გვ. 203). ქუჩს ნაზი სიყვარულის უნარი აქვს, მიუხედავად პირქუში გარეგნობისა. მისი სიყვარულის გრძნობა თავისთავადია, ის თვითონ კვებავს თავის არსებობას და არ არის განპირობებული ობიექტური ვითარებით – სხვისი მხრიდან გამოვლენილი სიმპათიით თუ განსაკუთრებული დამოკიდებულებით. ამგვარი უანგარობა სიყვარულის ჭეშმარიტ ბუნებას ავლენს. ასეთ სიყვარულს ატარებს გულში მთის წყაროც, იაც, კლდეც – ვაჟას პროზაულ თხზულებათა ყველა პერსონაჟი. როგორც მითითებულია, *„სიყვარული სულგრძელია და ტკბილი; სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს; არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს“* (I კორ., 13. 4-5). ამგვარი სიყვარულის უნარი ის საერთო ნიშანია, რომელიც ვაჟას პერსონაჟების სამყაროსადმი მიმართების თავისებურებას ახასიათებს და განმარტავს.

როგორც ცნობილია, ვაჟა-ფშაველას პროზაული თხზულებებისათვის დამახასიათებელი არ არის მორალიზება. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხრობები მთლიანად ეთიკურ-ზნეობრივ საკითხებს განიხილავს და ღრმად მორალისტური შინაარსის მქონეა, *„ვაჟა... პირადად თვითონ არ გვაწვდის მორალისტურ შენიშვნებს. ამ მოთხრობებში მორალი თვით ამბიდან გამომდინარეობს... ავტორის მიერ მათზე საგანგებო მითითების გარეშე“* (კიკნაძე, 1989, გვ. 221-222). ასეთი მიდგომითაა შექმნილი ზემოთ განხილული ყველა მოთხრობა. შესრულების მანერის თვალსაზრისით მათგან ცალკე უნდა გამოიყოს „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“. ამ ნაწარმოებში ვაჟა-ფშაველამ რამდენადმე გადაუხვია იმ მხატვრულ მეთოდს, რომლის დახმარებითაც ძირითადად შექმნილია მისი მცირე ზომის მხატვრული პროზა და ღიად, ერთგვარი პუბლიცისტური პათოსით, გამოხატა თავისი დამოკიდებულება უმნიშვნელოვანესი ადამიანური პრობლემების მიმართ. ფილოსოფიური ხასიათის ამ მცირე მოთხრობის ამოცანაა, ერთი მხრივ, აჩვენოს ადამიანური ბუნების თავისებურება, ის მანკიერებანი, რომლებიც მას თან სდევს კაცობრიობის არსებობის მანძილზე; მეორე მხრივ, მკითხველს დაანახვოს გამოსავალი – ამ მანკიერებათა დაძლევის გზა, რომელიც ზედმიწევნით თანხვდება ქრისტიანულ მოძღვრებას. ვაჟა-ფშაველას აზრით (ამას ზემოთ განხილული მოთხრობებიც ადასტურებს), ეს გზა სიყვარულზე გადის, სიყვარულია ის უპირველესი, უმნიშვნელოვანესი გრძნობა, რომლის გარეშე ქვეყნის გადარჩენა შეუძლებელია. ყველა ცოდვა, ყველა შეცდომა, რასაც ადამიანი განიზრახავს თუ სჩადის, სიყვარულის ნაკლებობის შედეგია. როგორც ცნობილია, სწორედ ამით განსხვავდება ქრისტიანული მოძღვრება ყველა სხვა რჯულისაგან – მას

საფუძვლად საყოველთაო სიყვარული უდევს. იგი არ სჯერდება ცუდი საქმის აკრძალვას და ადამიანს გამუდმებით უანგარო სიკეთისა და ქველმოქმედებისკენ მოუწოდებს. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, მიუღებელია არა მხოლოდ ზიანის მიყენება სხვა ადამიანისათვის, არამედ გულგრილობაც, ინდიფერენტული დამოკიდებულებაც. როგორც ნათქვამია, *„საკმაო არ არის, არ გძულდეს მოძმე, უნდა გიყვარდეს კიდეც“* (ჭავჭავაძე, 2006, გვ. 239). ესაა ქრისტიანული რწმენის ქვაკუთხედი. *„გაძლევთ თქვენ ახალ მცნებას“,* – ეტყვის მაცხოვარი თავის მოწაფეებს, – *„რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ... იმით გიცნობთ ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუ გექნებათ ერთმანეთის სიყვარული“* (იოანე, 13. 34,35). მოთხრობის იდეაც ესაა: სიყვარულით უნდა აივსოს ადამიანის გული, სიყვარული იქცეს მის წარმმართველ ძალად ცხოვრებაში. მხოლოდ ამაშია ადამიანთა მოდგმის ხსნა. *„გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!“* ათქმევინებს კლდეს მწერალი, – *„... ამ სიტყვებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, შინა და კარში ეს ხმა უნდა ისმოდეს, პირველი მცნება ეს უნდა იყოს, დედა ამას უნდა ჩასჩიჩინებდეს შვილს აკვანში, ისე გამუდმებით, რომ ეს ჩამახილი ვეღარა გზით ვერ ამოიშალოს ადამიანის გულიდან...“* (ვაჟა-ფშაველა, 1964 ბ, გვ. 27).

ვაჟა-ფშაველას მხატვრული პროზა, მისი ხასიათიდან გამომდინარე, სიბრალულის თემასაც ეხება. როგორც ცნობილია, სიბრალულის განცდა არბილებს კაცის გულს და ხელს უწყობს სამყაროსადმი ჰუმანური დამოკიდებულების აღზრდას. იგი ადგილს აღარ ტოვებს გულგრილობისთვის, რასაც *„სული ნელ-ნელა დემონურ სიძულვილამდე მიჰყავს“* (ფილოთეველი, 2012, გვ. 230). დიდი ილია ჭავჭავაძე, იგივე წმინდა ილია მართალი, წერს: *„რა მადლია ქვეყანაზე, რომ ყველა სხვა მადლი იქიდამ გამოდიოდეს, როგორც სხივები მზისაგან? მწამს და ვაღიარებ, რომ ამისთანა მადლი – მადლია სიბრალულისა. მადლსაც სიმართლისას, პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშისცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას, დასაბამად, სათავედ სიბრალულის მადლი აქვს. თუ გებრალება, უსამართლობას ვერ უზამ; თუ გებრალება, უნამუსოდ ვერ მოექცევი; თუ გებრალება, გეყვარება კიდეც; თუ გებრალება, ნუგეშსაცა სცემ; თუ გებრალება, გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალება, შეიწყნარებ; თუ გებრალება, შეუნდობ“* (ჭავჭავაძე, 1988, გვ. 543). ვაჟა-ფშაველას პროზაში სიბრალულის გრძნობა ჩამოყალიბებული მოტივის სახითაა მოცემული. იგი არაერთ ნაწარმოებში ვლინდება, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მისი შესანიშნავი „შვლის ნუკრის ნაამბობი“ უნდა გამოვყოთ, რომლის ერთი უმთავრესი ამოცანა მკითხველში სიბრალულის გრძნობის აღძვრაა. ვაჟას თხრობის მანერა და ნაწარმოებში გამოყენებული სტილური თავისებურებები სწორედ იმას ემსახურება, რომ მკითხველს თვალსაჩინოდ წარმოუდგინოს და მაქსიმალურად დაუახლოვოს ნუკრის ნაამბობი, გახადოს იგი ნუკრის უბედურების თანამონაწილედ და ამით გააღვივოს მის გულში სიბრალულის განცდა, რომელიც საბოლოოდ მოუცილებელი ხდება მკითხველისათვის. ამავე გრძნობის აღძვრას ისახავს მიზნად ვაჟა-ფშაველას სიცოცხლის სიყვარულით სავსე მოთხრობებში ისეთი ამბების აღწერა, როგორიცაა *„მშვენიერი ტოტებგადართხმული წიფლის“* მოჭრა, *„დაღლილ-დაქანცული“, „მოღუღუნე“, „გაზაფხულის მოსვლით გახარებული“* ქედანის მოკვლა („ია), *„უზარმაზარი მუხის“* წამოქცევა და მისი ფესვების დაობლება („ფესვები“) და სხვ. ეს შემთხვევები არღვევს ჰარმონიას, რომელიც ბუნებაში არსებობს და რომელსაც ვაჟა შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: *„ყველას მოსწონს თავი, ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას უყვარს ბუნება“* (ვაჟა-ფშაველა, 1964 ა, გვ.35).

ვაჟას მოთხრობების მიხედვით, სილამაზითა და სიხარულით აღსავსე ბუნების ფერხულში დისონანსის შემომტანი ადამიანია. იგი დაშორდა ბუნებას და ვეღარ გრძნობს მასთან ორგანულ კავშირს, საკუთარი თავი ბუნების ნაწილად აღარ მიაჩნია: *„კაცმა, შეუბრალებელმა ადამიანმა, მოგვიკლა გული, მოგვიკლა შვილი და დაგვტოვა თვალცრემლიანი“,* – ათქმევინებს მწერალი ფესვებს, *„ადგა, ცულით დაუწყო ჭრა; იმას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენის შვილის კვნესა. ცულს რომ გვცემენ, ჩვენ ვკვნესით და თქვენ კი, კაცნი, ამას „რაკუნს“ ეძახით. გადმოგვდის სისხლი და თქვენ ჩვენს სისხლს „ხის წვენს“ უწოდებთ... განა რომ ხელს არ გამოვიღებთ, თავ-პირს არავის ვაკაწრით, არა*

ვლანძღავთ, წასულს არ მივდევთ და მოსულს მრისხანე სახით არ ვუხვდებით, იმიტომ არაფერსა ვგრძნობთ?! „მუხას ვჭრიო“, – კაცი თავის ამხანაგს ეძახდა, ვითომდა არაფერიო“ (ვაჟა-ფშაველა, 1964 ა, გვ. 217). ადამიანის ამგვარი უგრძნობლობა არაერთ ნაწარმოებშია ხაზგასმული. ვაჟა მიგვანიშნებს, რომ ადამიანი დაცილდა თავის პირველსახეს, როდესაც მას ღვთისაგან ბუნების არსის ღრმად წვდომის უნარი ჰქონდა მიმადლებული. მან დაკარგა ბუნებისადმი სიბრალული და თანაგრძნობა, მისი სილამაზით ტკბობისა და აღტაცების უნარი. ბუნებასთან მიმართებით ადამიანს უკვე მომხმარებლური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა, რამაც პირველ ადგილზე გარშემომყოფი სამყაროსაგან სარგებლის მიღების სურვილი დააყენა. სწორადაა მითითებული, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ხაზგასმულია *„ადამიანისა და ბუნების განუყოფლობა“* და ისიც, რომ *„ადამ და ევას სამოთხიდან გამოძევების შემდეგ შეიცვალა ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულებაც“* (შარაბიძე, 2020, გვ. 140).

პირველქმნილმა ცოდვამ მხოლოდ ღვთის ქმნილებათა მადლიან ერთობას კი არ დააშორა ადამიანი, არამედ სიკვდილიც დაამკვიდრა ხილულ ქვეყანაში, ძალმომრეობა, დაპირისპირება გაამეფა სამყაროში. სწორედ ეს უნდა დაიძლიოს, რომ ქვეყანამ დაიბრუნოს სილამაზე, ჰარმონია. ამისთვისაა საჭირო ზნეობრივი საფუძვლის შექმნა, მაღალეთიკური იდეალების დამკვიდრება, სათნოების გაღვივება ადამიანის სულში, რათა გამრავლდეს სიკეთე, ადამიანმა დაიბრუნოს თავისი ცხოვრების ჭეშმარიტი, ფუნდამენტური ნიშანი – ღვთისაკენ სწრაფვა სულის განწმენდის გზით. როგორც თავად მწერალი აღნიშნავს, *„თუ კი ყველა სხვის შემწეობით, სხვისი შველით ვიქნებით გამსჭვალული, სხვა ჩვენთვის იქნება, სხვას ჩვენთვის ენდომება კეთილი, ეს იგივე თავისის თავის შველა გამოდის, თუმცა სხვა ფერით, სხვა წესით, რომელიც უფრო ღვთიურია, უფრო კაცობრივი, რადგან ამგვარი დამოკიდებულება ერთისა მეორესთან სპობს შურს, მტრობას კაცთა შორის“* (1964, გვ. 189-190).

ვაჟა-ფშაველა ისწრაფვის შექმნას ისეთი მხატვრული სამყარო, რომელშიც ქრისტიანული მოძღვრებით ნაკარნახევი ეთიკურ-ზნეობრივი ნორმები მოქმედებს. ამით ცხადდება დიდი მწერლის თვალსაზრისი ადამიანის სიცოცხლის საზრისთან, მის ამქვეყნიურ დანიშნულებასთან დაკავშირებით; რაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ადამიანის ამაღლებისაკენ, სულიერად მისი ღვთის წიაღში დაბრუნებისკენ არის მიმართული. ვაჟას შემოქმედების ეს ზოგადი ნიშანი, რომელიც სხვადასხვა ასპექტით არის გამოკვეთილი და სხვადასხვაგვარი მასალით ილუსტრირებული მის მხატვრულ მემკვიდრეობაში, ნათლად აჩვენებს მის პროზაულ თხზულებათა იდეურ გამიზნულობასაც, რომლებიც მტკიცე ზნეობრივ საფუძველზე აყენებენ მკითხველს და ადამიანის რაობასა და დანიშნულებაზე ესაუბრებიან. ვაჟას სურს, თავისი მოთხრობებით შექმნას ისეთი მხატვრული სამყარო, რომელშიც სიცოცხლე წარმოჩენილი იქნება, როგორც ეთიკური ფენომენი.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაშიძე, კ. (1962). ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ბერი ეფრემ ფილოთეველი, (2012). მამობრივი დარიგებანი, თბილისი: წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე ჩაკიდული თხემები.

ბიბლია, (1989). თბილისი: საქართველოს საპატრიარქო.

ევგენიძე, ი. (1989). ვაჟა-ფშაველა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ვაჟა-ფშაველა, (1964 ა). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ვაჟა-ფშაველა, (1964 ბ). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VI, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ვაჟა-ფშაველა, (1964 გ). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

კაპანელი, კ. (1996). ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კიკნაძე, გ. (1989). ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კოტეტიშვილი, ვ. (1959). ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ქიქოძე, გ. (1936). წერილები ხელოვნებაზე, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
შარაბიძე, თ. (2020). მოზაიკური სინთეზი: წერილები ვაჟა-ფშაველაზე, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
შარაბიძე, თ. (1998). ვაჟა-ფშაველას პროზა, ბურჯი ეროვნებისა, II, 14-15, თბილისი: ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების ჟურნალი.
წმინდა მაქსიმე აღმსარებელი. (2024). ოთხი ასეული თავი სიყვარულის შესახებ, 3.45. https://www.orthodoxy.ge/tserilebi/maqsime_sikvaruli3.htm (ბოლო ნახვა 12.11.2024)
ჭავჭავაძე, ი. (1988). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, II, თბილისი: „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“.
ჭავჭავაძე, ი. (2006). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, IX, თბილისი: „ილიას ფონდი“.

Bibliography:

Abashidze, K'. (1962). Et'iudebi XIX sauk'uis kartuli lit'erat'ures shesakheb. [Etudes Regarding XIX Century Georgian Literature]. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
Beri Ephrem Piloteveli, (2012). Mamobrivi darigebani. [Fatherly Advices]. Tbilisi: St. John the Baptist Monastery Chakiduli Tkhemebi.
Bible, (1989). [Bible]. Tbilisi: Patriarchate of Georgia.
Ch'avch'avadze, I. (1988). Tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad. T. II. [A Complete Collection of Stories in Twenty Books. Vol. II]. Tbilisi: "Metsniereba", "Sabchota Sakartvelo".
Ch'avch'avadze, I. (2006). Tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad. T'. IX. [A Complete Collection of Stories in Twenty Books. Vol. IX]. Tbilisi: "Ilias Pondi".
Evgenidze, I. (1989). Vazha-pshavela. [Vazha-Pshavela]. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
K'ap'aneli, K'. (1996). Kartuli suli estet'ik'ur sakheebshi. [Georgian Spirit in Aesthetic Expressions]. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
Kikodze, G. (1936). Ts'erilebi khelovnebaze. [Letters Regarding the Arts]. Tbilisi: "Sabchota Sakartvelo".
K'ik'nadze, G. (1989). Vazha-pshavelas shemokmedeba. [Vazha-Pshavela's Creative Work]. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
K'ot'et'ishvili, V. (1959). Akhali kartuli lit'erat'ures ist'oria (XIX s.). [History of New Georgian Literature (XIX C.)]. Tbilisi: Publishing House "Sabchota Sakartvelo".
Sharabidze, T. (2020). Mozaik'uri sintezi: ts'erilebi Vazha-Pshavelaze. [Mosaic Synthesis: Laetters Regarding Vazha-Pshavela]. Tbilisi: University Publishing House.
Sharabidze, T. (1998). Vazha-Pshavelas p'roza. [Vazha-Pshavela's Prose]. Burji Erovnebisa, II, 14-15, Tbilisi: Besarion Jorbenadze Society Journal.
Ts'minda Maksime Aghmsarebeli. (2024). [Otkhi aseuli tavi siq'varulis shesakheb. [Saint Maximos the Confessor. Four Hundred Verses About Love]. 3.45. https://www.orthodoxy.ge/tserilebi/maqsime_sikvaruli3.htm (Last seen 12.11.2024).
Vazha-Pshavela, (1964). Tkhzulebata sruli k'rebuli at t'omad. T'. V. [A Complete Collection of Stories in Ten Books. Vol. V]. Tbilisi: "Sabchota Sakartvelo".
Vazha-Pshavela, (1964). Tkhzulebata sruli krebuli at tomad. T'. VI. [A Complete Collection of Stories in Ten Books. Vol. VI]. Tbilisi: "Sabchota Sakartvelo".
Vazha-Pshavela, (1964). Tkhzulebata sruli krebuli at tomad. T'. IX. [A Complete Collection of Stories in Ten Books. Vol. IX]. Tbilisi: "Sabchota Sakartvelo".